

მაკა ლაბარტყავა

-ვე და -ვა ნაწილაკდართულ -ზე, -ზედ, -ზედა თანდებულიან სახელთა მართლწერისათვის

„...ის ენობრივი ნორმები, რომლებითაც დღეს ვხელმძღვანელობთ, ძირითადად ნახევარი საუკუნის წინანდელი მეცნიერული რეკომენდაციებია, ხოლო მათ საფუძვლად აღებული უმთავრესი ენობრივი მონაცემები საუკუნის ხნოვანებისაა.

როცა შთამომავლობას ნორმებს სთავაზობდნენ ჩვენი ფილოლოგიის პატრიარქები, აუცილებლად მიიჩნევდნენ მიეთითებინათ, რომ ცოცხალი ენა ვითარდება და დროთა ვითარებაში დასაშვებია ნორმების ცვლა. ამიტომაც, თუ რომელიმე ნორმა მოძველდა („სოციალური სანქცია“ დაკარგა), მისი გადასინჯვა რევიზიად კი არა, სწორედ წინაპართა ნაანდერძევის ერთგულებად უნდა მივიჩნიოთ“, – აღნიშნავს ა. არაბული მონოგრაფიაში „ენა ჩვენი არსობისა“.

სწორედ ამ მიზნით „გადასინჯა“ **-ზედა, -ზედ, -ზე** თანდებულიან სახელთა მართლწერა ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და გუგლის მონაცემთა მიხედვით. შესაბამისად, გამოიყო ორი შემთხვევა: ა) როდესაც თანდებულიან სახელს ნაწილაკი არ დაერთვის (**მთაზე, მთაზედ, მთაზედა; სახლზე, სახლზედ, სახლზედა; რომელზე, რომელზედ, რომელზედა; ჩემზე, ჩემზედ, ჩემზედა**) და ბ) როცა ზემოთ აღნიშნულ თანდებულიან სახელებს დაერთვის **-ც(ა)** და **-ვე** ნაწილაკები. საანალიზოდ შევარჩიეთ რამდენიმე ლექსიკური ერთეული (**რომელზეც, შდრ.: რომელზედაც; იმაზეც, შდრ.: იმაზედაც; მასზეც, შდრ.: მასზედაც; მთაზეც შდრ.: მთაზედაც, მიწაზეც შდრ.: მიწაზედაც. მთაზევე, შდრ.: მთაზედვე; თქვენზევე, შდრ.: თქვენზედვე; ჩემზევე, შდრ.: ჩემზედვე; თავზევე, შდრ.: თავზედვე**).

როგორც ცნობილია, **-ზე** თანდებული მიცემით ბრუნვას დაერთვის და სამი სახით გვხვდება: **-ზედა, -ზედ** და **-ზე**. „**-ზედა** სახეობა იხმარებოდა ძველ ქართულში, ცალკე იდგა და მიცემითი ბრუნვის ფორმა სახელისა უცვლელად იყო წარმოდგენილი. ძველ ქართულში იგი ნათესაობით ბრუნვასაც დაერთვოდა. **-ზედ** და **-ზე** სახეობები **-ზედას** გამარტივებისა და გაერთმარცვლოვანების შედე-

გია და შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან. შერწყმისას მიცემითი ბრუნვის ფორმანტი დაკარგულია ყველგან – თანხმომოვანფუძიან სახელებთანაც და ხმომოვანფუძიანებთანაც. მიცემითის **-ს** დაცულია მხოლოდ III პირის ნაცვალსახელში: **მა-ს-ზე**, მაგრამ ჩვენებითი ნაწილაკების დართვისას აქაც იკარგება: **ამა-ზე, იმა-ზე...**

ქართული მწერლობის კლასიკოსებთან ორივე სახეობა – **-ზედ** და **-ზე** – თანაბრად გვხვდება:

„დედაჩემი დაწვებოდა **გორაკზე**“ (ვაჟა).

„რამდენიმე ბიჭი **კარებზე** დააყენეს ჯოხით“ (აკაკი).

„გველი მწვანე შხამს იქავე **ქვაზე** წამოანთხევს“ (აკაკი).

„გიორგი ცოცხალ-მკვდარი ნახეს **დედამიწაზედ** პირქვე დამხოზილი“ (ილია).

„მის **ცხენზედ** მის მეტი ვერავინ ჯდებოდა“ (აკაკი).

„მეგლმა შეიხედა მალლა **გორაზედ**“ (ვაჟა) და ა. შ.

ზედა სახეობა ჩვეულებრივია პოეზიის ენაში:

„გავიხედე **სერზედაო**, პატონი ზის **ცხენზედაო**“ (ხალხური).

„ფელს კი თავის ტოტები გაუფარჩხია **განზედა**“ (ვაჟა).

ა) პირველ რიგში, რამდენიმე ლექსიკური ერთეულის გათვალისწინებით – ქართული ენის ეროვნული კორპუსისა და გუგლის მონაცემების მიხედვით – წარმოვადგენთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანდებულიან სახელს ნაწილაკი არ დაერთვის: **მთაზე, მთაზედ, მთაზედა; სახლზე, სახლზედ, სახლზედა...**

ქვევის მონაცემებით დადასტურდა:

მთაზე ფორმის 407000 შემთხვევა, **მთაზედ** ფორმის 3080 შემთხვევა, **მთაზედა** ფორმის 18800 შემთხვევა.

გუგლის მონაცემებით დადასტურდა:

მთაზე ფორმის 2016 შემთხვევა, **მთაზედ** ფორმის 60 შემთხვევა, **მთაზედა** ფორმის 41 შემთხვევა.

მაშასადამე, **ქვევის** მონაცემებით, **მთაზე** მეტია **მთაზედ** ფორმაზე 1941-ით, ხოლო **მთაზედა** ფორმაზე – 1975-ით; **გუგლის** მონაცემებით კი – **მთაზე** მეტია **მთაზედ** ფორმაზე 313920-ით, ხოლო **მთაზედა** ფორმაზე – 388200-ით.

როგორც საანალიზო მასალამ ცხადყო, **-ზე** თანდებულიანი ფორმები გაცილებით მეტია **-ზედ** და **-ზედა** თანდებულიან ფორმებთან შედარებით.

მაგალითები:

მთაზე // მთაზედ // მთაზედა

„ჩქარობდა, რათა **მთაზე** ასულიყო ეკლესიაში სალოცავად“.

„მახათას **მთაზე** მტერი ავიდა, შორია“,

„ჩემო ჯრუჭულავ, ღვთაებრივს **მთაზედ**, თოვლისფერ, ფაფუკ ღრუბლებს რომ ერთვის, ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ, თუ წმინდა მამებს უნთიათ ზეთი“.

„...მეორე დასდგეს თხოთის **მთაზედ**, რომელ აწ უღელტეხილად იწოდება“.

„მაღალ **მთაზედა** ავაგე სასახლე ახალ-ახალი, ლითონზე უფრო მაგარი, პირამიდებზე მაღალი“.

„ხოხბის ყელივით ლამაზი ქალი გადმოდგა **მთაზედა**“.

იგივე ითქმის **სახლზე** ფორმის შესახებაც.

ქეეკის მონაცემებით დადასტურდა:

სახლზე ფორმის 60 შემთხვევა, **სახლზედ** ვარიანტის 6 შემთხვევა, **სახლზედა** ფორმის არცერთი შემთხვევა არ შეგვხვდა.

გუგლის მონაცემებით დადასტურდა:

სახლზე ფორმის 141000 შემთხვევა, **სახლზედ** ვარიანტის 657 შემთხვევა. **სახლზედა** ფორმის 7 შემთხვევა.

მაშასადამე, **ქეეკის** მონაცემებით, **სახლზე** მეტია **სახლზედ** ფორმაზე 66 -ით, ხოლო **სახლზედა** ფორმაზე – 60-ით; **გუგლის** მონაცემებით, **სახლზე** ფორმა მეტია **სახლზედ** ფორმაზე 140343-ით, ხოლო **სახლზედა** ფორმაზე – 140993-ით.

მაგალითები:

სახლზე // სახლზედ // სახლზედა

„10 ალკოჰოლური სასმელი, რომელიც ფეშენებელურ **სახლზე** უფრო ძვირია“.

„ვალერია სცენიდან თქვა, რომ ახალ **სახლზე** ოცნებობს“.

„ყველამ **სახლზედ** შემორტყმული ნათელი ღრუბელი დაინახა“.

„რა დროს საკუთარ მამულზედ და **სახლზედ** ზრუნვა იყო...“

„ცხადში ჯერ ნახვა ადრეა, მოცდა მომიწევს ჯერაო, თუმცა **სახლზედა** ფიქრებსა, აქ ვერ ვიცილებ ვერაო“ და მრავალი სხვა.

ჩვენ მიერ გაანალიზებული სხვა ლექსიკური ერთეულებიც (**რომელზე, რომელზედ, რომელზედა; ჩემზე, ჩემზედ, ჩემზედა**) ცხადყოფს, რომ **-ზე** თანდებულიანი ფორმები სჭარბობენ **-ზედ** და **-ზედა** თანდებულიანი ვარიანტებს, რაც მოსალოდნელიც იყო.

ამდენად, **-ზედა, -ზედ, -ზე** სახეობათაგან თანამედროვე ქართულში უდავოდ უნდა დარჩეს **-ზე** სახეობა ერთადერთ მართებულ ფორმად, როგორც აღნიშნულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში: „იმ შემთხვევაში, როდესაც თანდებულებიან სახელს ნაწილაკი არ დაერთვის, **ზედა, ზედ, ზე** სახეობათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთ სახეობად დარჩეს **ზე**“ [ნორმები 1986: 102]. ამავსე მოწმობს ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევაც.

ბ) რა ვითარებაა **ქეეკსა** და **გუგლში**, როცა **-ზე, -ზედ, -ზედა** თანდებულებიან სახელებს დაერთვის **-ვე** და **-ცა** ნაწილაკები? **-ვე** ნაწილაკდართული ფორმების შესახებ **ნორმებში** ვკითხულობთ: „**ვე** ნაწილაკის დართვისას იხმარებოდეს ძველი სახეობის ხმოვანმოკვეცილი ვარიანტი **-ზედ (მთაზედვე, მიწაზედვე... და არა: მთაზევე, მიწაზევე...)**“ [ნორმები 1986: 103].

ამჯერადაც ყურადღება გამახვილდა რამდენიმე **-ვე** ნაწილაკდართულ **-ზე** და **-ზედ** თანდებულებიან ფორმაზე (**მთაზევე** შდრ.: **მთაზედვე; თქვენზევე**, შდრ.: **თქვენზედვე; ჩემზევე**, შდრ.: **ჩემზედვე; თავზევე**, შდრ.: **თავზედვე**).

ქეეკის მონაცემებით გვხვდება: **მთაზევე** ფორმის 2 შემთხვევა, **მთაზედვე** ვარიანტი არ დასტურდება. **გუგლის** მონაცემებით: **მთაზევე** ფორმის 1800 შემთხვევა, **მთაზედვე** ვარიანტის 6 შემთხვევა.

მაშასადამე, **მთაზევე** ფორმა მეტია **მთაზედვე** ვარიანტზე: **ქეეკის** მონაცემების მიხედვით მხოლოდ 1-ით, **გუგლის** მონაცემებით – 1894-ით.

მაგალითები:

მთაზევე, შდრ.: **მთაზედვე**

„ათონის **მთაზევე** დაიწყო მან ზრუნვა ქართული ბიბლიის გამოცემისთვის“.

„**მთაზევე** არის ჭები, საიდანაც ბერები აკვირდებოდნენ ციურ სხეულებს“.

„მუშებისათვის **მთაზევე** ააშენეს დროებითი საცხოვრებელი“.

„გაჯავრებულმა უფალმა **მთაზედვე** უთხრა ეს ამბავი მოსესა და დაემუქრა“.

„ზეთისხილის **მთაზედვე** არის მღვიმე ღირსის დედა პელაგიასი, სადაც იგი მოღვაწეობდა“.

„წმინდა მიტროდორას მკლავი კი წმინდა **მთაზედვე**, პანტოკრატორის სავანეშია დაბრძანებული“.

ქეკის მიხედვით გვხვდება: **თქვენზევე** ფორმის 1 შემთხვევა, **თქვენზედვე** ვარიანტი არ დადასტურდა.

გუგლის მიხედვით დადასტურდა: **თქვენზევე** ფორმის 139 შემთხვევა, **თქვენზედვე** ვარიანტისა – 6.

საანალიზო მასალის მიხედვით, **-ვე** ნაწილაკდართული **-ზე** თანდებულიანი ფორმები სჭარბობენ **-ვე** ნაწილაკდართულ **-ზედ** თანდებულიან ვარიანტებს.

მაგალითები:

თქვენზევე, შდრ.: **თქვენზედვე**

„ხოლო თუ ქება, **თქვენზევე** თქმული, თქვენთვის ყოფილა შესაზარელი – ქებას მოითხოვს ქალების გული“.

„უბრალოდ გეშინოდეთ, რომ თქვენივე ბოლმამ და ცილისმწამებლურმა განცხადებებმა **თქვენზევე** არ იმოქმედოს უარყოფითად“.

„**თქვენზევე** მოაქცევენ თქვენს გარყვნილებას და იტვირთავენ თქვენს კერპთა ცოდვებს, და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი ღმერთი!“

„თქვენი ვარ, თქვენთვის მოვკვდები, **თქვენზედვე** მგლოვიარეო“.

„ბარათოვს სასაცილოდ იგდებთ შენიშვნაში, მაგრამ იმას შეუძლიან **თქვენზედვე** გადმოიტანოს ეს სიტყვები“.

„თქვენი ნახვა მინდოდა, თქვენთან ლაპარაკი **თქვენზედვე**“ ...

სხვა შემთხვევები:

ქეკის მონაცემთა მიხედვით დადასტურდა **ჩემზევე** ფორმის 3 შემთხვევა, ხოლო **ჩემზედვე** ვარიანტისა – 2.

გუგლის გათვალისწინებით გვხვდება **ჩემზევე** ფორმის 470 შემთხვევა, **ჩემზედვე** ვარიანტისა – 93.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც **-ვე** ნაწილაკდართული **-ზე** თანდებულიანი ფორმები სჭარბობენ **-ვე** ნაწილაკდართულ **-ზედ** თანდებულიან ვარიანტებს.

მაგალითები:

ჩემზევე, შდრ.: **ჩემზედვე**

„ჩემზე განთქმულ და **ჩემზევე** მძლე მეომარო, იცოდე, მაინც შორს ჩამორჩი განსჯით და ცოდნით“.

„ვგრძნობ: თვით **ჩემზევე** ბიწიერება ისე განმტკიცდა, რომ გაიხარებს, აყვავდება მგზნებარე სული“.

„ფიფქრე, ჩემი საკუთარი ბინა **ჩემზევე** გაასხვისონ-მეთქი“.

„...და უარსა ვყოფ დადებულ ბრალს ჩემგან **ჩემზედვე**, ბუნებას ჩემსას არ ეკუთვნის, ვფიცავ, ის ლაქა“.

„მალკოლმი: **ჩემზედვე** ყოველგვარი ბიწი, ავი ზნე ჩემს ბუნებაზედ ნამყნობია“.

„ავტორიტეტის მოპოვება ახლა დამოკიდებულია **ჩემზედვე**“...

რაოდენობრივად ასეთივე ვითარებაა **თავზევე** და **თავზედვე** ლექსიკურ ერთეულთა შემცველ კონტექსტებშიც. **ქვევის** მონაცემებით **თავზევე** ფორმა მხოლოდ ერთხელ დასტურდება. **თავზედვე** ვარიანტი არ დადასტურდა. **გუგლის** მონაცემებით **თავზევე** ფორმის 1400 შემთხვევა გვაქვს, ხოლო **თავზედვე** ვარიანტისა – 72. როგორც ვხედავთ, **ქვევის** მონაცემებით სხვაობა დიდი არ არის, თუმცა მაინც ერთით მეტია **-ვე** ნაწილაკდართული **-ზე** თანდებულიანი ფორმა **-ვე** ნაწილაკდართულ **-ზედა** თანდებულიან ვარიანტზე. **გუგლის** მიხედვით კი **ჩემზედვე** ფორმა 1328-ით მეტია **ჩემზევე** ვარიანტზე.

მაგალითები:

თავზევე, შდრ.: **თავზედვე**

„კრიზისი კი მისი ფეოდალურ სარეზერვო სისტემაში მოსვლის ორი თვის **თავზევე** მოხდა“.

„ჩემი მძვინვარების ცეცხლში გავწყვეტ მათ, მათ ნამოქმედარს მათ **თავზევე** მოვაქცევ“.

„კიბის **თავზევე** ვიცი, რაც დამხვდება ქვევით“.

„ორი წლის **თავზევე** მორჩა ჩვენი ურთიერთობა“.

„და შენს **თავზედვე** შენგან ცილსა როგორ მოგიტომენ“.

„... და შენს შორის აბსოლუტურად იკარგება საზღვარი და პირდაპირ ზემოქმედებ სამყაროზე, ანუ უფალსა და შენ **თავზედვე**“.

„მე უცნაური გრძნობები **თავზედვე** დამტრიალებდა, თითქოს რაღაცამ წამიღო“...

საერთო მონაცემების გათვალისწინებით, **-ზედვე** ტიპის ფორმები ნაკლებია **-ზევე** სახეობაზე. ზემოაღნიშნულის ნათელსაყოფად წარმოვადგენთ ჩამონათვალს.

ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით:

თქვენზევე – 1,

თქვენზედვე – 0,

ჩემზევე – 3,

ჩემზედვე – 2,

მთაზევე – 2,

თავზევე – 1,

მთაზედვე – 0,

თავზედვე – 1.

გუგლის მონაცემებით მივიღეთ:

თქვენზევე – 139,

ჩემზევე – 470,

თავზევე – 1400,

მთაზევე – 1800,

თქვენზედვე – 6,

ჩემზედვე – 93,

თავზედვე – 72,

მთაზედვე – 6.

ზემოაღნიშნული ვითარება ცხადყოფს, რომ **-ვე** ნაწილაკის დართვისას **-ზედვე** ტიპი ვერ დარჩება ერთადერთ მართებულ სახეობად, როგორც ეს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებშია, რადგან **-ზევე** ტიპის ფორმები სჭარბობენ **-ზედვე** სახეობას როგორც **ქეეკის**, ისე **გუგლის** მონაცემთა მიხედვით.

ვფიქრობთ, ორივე შემთხვევა – **-ვე** ნაწილაკდართული **-ზე** თანდებულიანი ლექსიკური ერთეულები და **-ვე** ნაწილაკდართული **-ზედ** თანდებულიანი ფორმები – მართებულად უნდა მივიჩნიოთ: **მთაზედვე // მთაზევე, თქვენზედვე // თქვენზევე, ჩემზედვე // ჩემზევე, თავზედვე // თავზევე.**

„-ც(ა) ნაწილაკის დართვისას ძველი **-ზედა** სახეობა უნდა დარჩეს უცვლელად (**მთაზედაც, მიწაზედაც...** და არა: **მთაზეც, მიწაზეც...**)“, – აღნიშნულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში [ნორმები 1986: 102].

განალიზდა აგრეთვე **-ც(ა)** ნაწილაკდართული **-ზე** და **-ზედ** თანდებულიანი რამდენიმე ლექსიკური ერთეული: **რომელზეც**, შდრ.: **რომელზედაც**; **იმაზეც**, შდრ.: **იმაზედაც**, **მასზეც**, შდრ.: **მასზედაც**. ამ შემთხვევაშიც შესასწავლი ფორმები დაძეგნილია **ქეეკისა** და **გუგლის** მონაცემთა გათვალისწინებით.

ქეეკში დადასტურდა **რომელზეც** ფორმის 17119 შემთხვევა, ხოლო **რომელზედაც** ვარიანტისა – 2269, **გუგლში** კი გამოვლინდა **რომელზეც** ფორმის 166 შემთხვევა, ხოლო **რომელზედაც** ვარიანტისა – 146.

როგორც ვხედავთ, **ქეეკის** მონაცემებით, **რომელზეც** ფორმა მეტია **რომელზედაც** ვარიანტზე 14850-ით, ხოლო **გუგლის** მიხედვით, **რომელზეც** ფორმა მეტია **რომელზედაც** ვარიანტზე 20-ით.

მაშასადამე, **-ც(ა)** ნაწილაკდართული **-ზე** თანდებულიანი ფორმები რაოდენობრივად მეტია **-ც(ა)** ნაწილაკდართულ **-ზედა**

თანდებულიან ვარიანტებზე როგორც **ქეეკის**, ისე **გუგლის** მონაცემთა მიხედვით.

მაგალითები:

რომელზეც, შდრ.: **რომელზედაც**

„მეცნიერება, ფუნდამენტია, **რომელზეც** წარმატებული ქვეყანა უნდა იდგეს“.

„ღვთისმშობლის ხატი, **რომელზეც** წმინდა სერაფიმ საროველი ლოცულობდა, თბილისში ჩამოაბრძანეს“.

„ქართული მონეტა, **რომელზეც** ერთდროულად ქრისტიანული ლოცვა და არაბული წარწერაა“.

„ისეთი მაღალი ხე არ მინახავს, **რომელზედაც** ფრინველი არ ჯდებოდასო“.

„პირველი სხდომაა, **რომელზედაც** კოალიციის რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს“.

„10 ყველაზე ცუდი გზა, **რომელზედაც** გავლა არ მოგინდებათ“.

რაოდენობრივად დიდი სხვაობაა სხვა შემთხვევებშიც, მაგ., **იმაზეც**, შდრ.: **იმაზედაც**.

ქეეკის მონაცემთა მიხედვით დადასტურდა **იმაზეც** ფორმის 2847 შემთხვევა, **იმაზედაც** ვარიანტისა – 68. **გუგლში**: **იმაზეც** – 220, **იმაზედაც** – 88. მაშასადამე, **ქეეკის** მონაცემებით, **იმაზეც** მეტია **იმაზედაც** ფორმაზე 2779-ით, ხოლო **გუგლის** მიხედვით – **იმაზეც** მეტია **იმაზედაც** ფორმაზე 132-ით.

მაგალითები:

იმაზეც, შდრ.: **იმაზედაც**

„აკაკი ბაქრაძე **იმაზეც** დაფიქრდა, თუ სად მიგვიყვანდა ირონიულ-პაროდული ნაკადის შემდგომი გაძლიერება“.

„გული **იმაზეც** მწყდება, რომ ფინჯან ყავაზე მაინც ვერ მივიწვიე საბჭოს წევრები“...

„ასევე **იმაზეც** ვისაუბრეთ, რომ პირველი ოთხი მცნება ადამიანის ღმერთთან დამოკიდებულებას მოიცავს“.

„ღმერთს ქვეყნად ადამიანი რომ გაუჩენია, **იმაზედაც** დაფიქრებულა, მას თავი როგორ შეენახა, რომელი პირუტყვი გამოადგებოდა დამხმარედ“.

„**იმაზედაც** აპელირებენ, რომ თითქოს, ქვეყნის ელექტროენერგეტიკული განვითარების გეგმა არ არსებობს“.

„წარმოიდგინეთ, **იმაზედაც** კი მეცინება, რომ გირჩევთ – თქვენც იცინეთ“.

ქეეკი დადასტურდა **მასზეც** ფორმის 172 შემთხვევა, ხოლო **მასზედაც** ფორმისა – 7.

გუგლში: მასზეც – 7000-მდე და **მასზედაც** – 1500-მდე.

ქეეკის მონაცემებით, **მასზეც** ფორმა მეტია **მასზედაც** ფორმაზე 165-ით. **გუგლის** მიხედვით **მასზეც** ფორმა მეტია **მასზედაც** ფორმაზე 5500-ით.

მაგალითები:

მასზეც, შდრ.: **მასზედაც**

„მოვა დრო და თაობები **მასზეც** შექმნიან ბალადებს“.

„**მასზეც** მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა გადიოდა ამ პერიოდში“.

„**მასზეც** ვარ კონცენტრირებული, არ ვიხარჯები და არ ვიფანტები“.

„**მასზედაც** მეთქმის ბევრზედაც ბევრი, მომივა დრო და მას გავეყრები“.

„ამოიღეს მეორე ჭა და **მასზედაც** შეედავნენ“.

„როგორც ყაბახზე მისვლა არს, **მასზედაც** ისრე არისა“.

„დაუბრუნდა კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი და ტოსკანელ სპეციალისტს **მასზედაც** ჰკითხეს“.

მაშასადამე, ქართული ენის ეროვნული კორპუსის მიხედვით დადასტურდა:

რომელზეც ფორმის 17119 შემთხვევა, **რომელზედაც** ვარიანტისა – 2269;

იმაზეც ფორმის 2847 შემთხვევა, **იმაზედაც** ვარიანტისა – 68;

მასზეც ფორმის 172 შემთხვევა, **მასზედაც** ვარიანტისა – 7.

გუგლის მიხედვით:

რომელზეც ფორმის 166 შემთხვევა, **რომელზედაც** ვარიანტისა – 146;

იმაზეც ფორმის 220 შემთხვევა, **იმაზედაც** ვარიანტისა – 88;

მასზეც ფორმის 7000 შემთხვევა, **მასზედაც** ვარიანტისა – 1500.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ **-ვე** ნაწილაკის დართვისას **-ზედ** თანდებულიანი ვარიანტი ვერ დარჩება ერთადერთ სწორ ფორმად (როგორც ეს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებშია აღნიშნული). საანალიზო მასალა ცხადყოფს, რომ თანამედროვე ქართულში **-ვე** ნაწილაკდართული **-ზე** თანდებულიანი ფორმები რაოდენობრივად გაცილებით მეტია (და უფრო ბუნებრი-

ვიც), ვიდრე **-ზედვე** ტიპი (**რომელზედვე // რომელზევე, ჩემზედვე // ჩემზევე...**).

ვერც **-ც(ა)** ნაწილაკდართული **-ზედა** თანდებულიანი სახეობა იქნება ერთადერთი მართებული ფორმა თანამედროვე ქართულში, რაკი ამ შემთხვევაშიც უფრო ბუნებრივი **-ზეც** ტიპი გაცილებით სჭარბობს **-ზედაც** სახეობას (**რომელზედაც // რომელზეც, ჩვენზედაც // ჩვენზეც...**).

მაშასადამე, მართებულად უნდა მივიჩნიოთ:

1) როგორც **-ზედ**, ისე **-ზე** თანდებულიანი **-ვე** ნაწილაკდართული ფორმები (**მთაზედვე // მთაზევე...**),

2) როგორც **-ზედ**, ისე **-ზე** თანდებულიანი **-ც** ნაწილაკდართული ვარიანტები (**რომელზედაც // რომელზეც...**).

ლიტერატურა

არაბული 2013 – ა. არაბული, ენა ჩვენი არსობისა, თბილისი.

გუგლი – გუგლის საძიებო სისტემა: <https://www.google.ge/>

ნორმები 1986 – ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

ქეეკი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=grc>

ჩიქობავა 2011 – არნ. ჩიქობავა, შრომები, V, თბილისი.

Maka Labartkava

On Spelling Words with the Postpositions *-zeda*, *-zed*, *-ze* and the Particles *-ve* and *-c(a)*

Summary

The paper analyzes the spelling of words with the postpositions **-zeda**, **-zed**, **-ze** according to the Georgian National Language Corpus and Google Search engine. We distinguish two types of cases a) when a word with the said postpositions is not added by a particle (**mtaze**, **mtazed**, **mtazeda** “over the mountain”) and b) when it is added by the particles **-c(a)** and **-ve**, e. g. **romelzec**, cf.: **romelzedac**; **imazec**, cf.: **imazedac**; **tkvenzeve**, cf.: **tkvenzedve**; **čemzeve**, cf.: **čemzedve**, etc.

Among the above-mentioned postpositions **-zed**, **-zeda**, **-ze** the postposition **-ze** should be considered as the only appropriate form in modern Georgian that is confirmed by the statistical data of the forms attested in GNLC and Google Search.

“The Norms” gives the following rule about the forms with the particle **-ve**: “When we add the particle **-ve** to a word, we should use the old variant **-zed** without a final vowel (**mtazedve**, **mičazedve** and not **mtazeve**, **mičazeve**)” [The Norms 1986: 103].

The data of GNLC and Google Search makes it clear that the forms with the postposition **-ze** that are added by the particle **-ve** exceed the forms with the postposition **-zed** and the particle **-ve**. Thus, we should consider both types of the forms to be appropriate: **-zedve** // **-zeve** (**romelzedve** // **romelzeve**, **čvenzedve** // **čvenzeve**, etc.).

According to the norms of the modern Georgian literary language “When we add the particle **-c(a)** to a word, the old variant **-zeda** should remain unchanged (**mtazedac**, **mičazedac**, and not **mtazec**, **mičazec**)” [The Norms 1986: 102].

The form with the particle **-c(a)** and the postposition **-zeda** cannot be the only appropriate form as it is stated in the norms of the modern

Georgian literary language. According to the data of GNLC and Google Search, the forms with the postposition **-ze** that are added by the particle **-ca** exceed the forms with the postposition **-zed** and the particle **-ca**. Thus, both of the forms are right: **zedac // zec** (**romelzedac // romelzec**, **čvenzedac // čvenzec**).